სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

საქონლის ან მომსახურების მიყიდვის შემდგომ. ფინანსურ ანგარიშგებაში ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის და ფასდათმობის შემდგომი ღირებულებით.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია მიმართავს ერთიანი აღიარებისა და გაზომვის მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების აქტივების, ასევე იმ იჯარებისა რომელიც დამოკიდებულია მომსახურების შესაბამის ცვლად ელემენტებზე და მისი ღირებულების და ვადის საიმედოდ შეფასება და კლასიფიცირება შეუძლებელია. პერიოდის ხარჯებში წარდგენილი საიჯარო ხარჯები არ წარმოადგენს ფინანსურ იჯარას ვინაიდან არ აკმაყოფილებს აღიარების შესაბამის პრინციპებს და ანგარიშგებაში წარდგენილია საოპერაციო იჯარის სახით.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღრიცხულ სასესხო ვალდებულებებს, რომელიც წარმოქმნილია საკრედიტო ხაზებზე არსებული ათვისებული თანხების შესაბამისი ვალდებულებით.

კომპანიას ასევე გაცემული აქვს სესხები სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე და საანგარიშო პერიოდის ბოლოს გააჩნია მოთხოვნები მისაღები სესხებიდან და მასზე დარიცხული პროცენტებიდან,

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს თვითღირებულების ხარჯებს, რომელიც შედგება რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან.

პერიოდის მიწოდების ხარჯის არსებითი ნაწილი მოიცავს ამ პროდუქციის რეალიზაციაზე ხელფასის, საწვავის, იჯარის და სხვადასხვა კომერციულ მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაღრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2020ს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის თავდაპირველი გამოყენების გავლენა ფასს 9-ში და ფასს 7-ში;
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა ფასს 16-ის შესწორებები; • საიჯარო გადასახადების ცვლილებების აღრიცხვაზე გავლენა, გათავისუფლების გამოყენებით;
- სხვა ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტების საწყისი გამოყენების გავლენა, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლისთვის.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

- ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩარჩოში მითითებების შეტანა;
- ფასს 3-ში შესწორებები ბიზნესის განმარტებაში;
- ბასს 1-ში და ბასს 8-ში შესწორებები მასალების განმარტებაში;

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში (გაგრძელება)

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები2;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)4;
- ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები) - საწარმოს განმარტება1;
- ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 (შესწორებები) - საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა და მისი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე1.
- ბასს 1 და ბასს 8 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებები) - მასალის განმარტება1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი - მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია3;

1. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
2. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
3. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მიწა	შენობა- ნაგებობა	ტრანსპორტი	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	20,575	682,366	1,049,739	293,487	393,418	66,676	2,506,262
ძირ. საშუალების დამატება			159,042	34,893	2,997		196,933
ძირ. საშუალების რეალიზაცია			(48,000)	(8,452)	-		(56,452)
ცვეთის დარიცხვა		(37,976)	(427,180)	(97,458)	(188,076)	(5,777)	(756,466)
ჩამოწერილი აქტივის ცვეთა			15,315	5,852	-		21,167
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	20,575	644,391	748,917	228,321	208,340	60,899	1,911,443
ძირ. საშუალების დამატება			700,900	80,650	35,887	42,716	860,154
ძირ. საშუალების რეალიზაცია							
ცვეთის დარიცხვა		(37,976)	(347,414)	(89,404)	(78,858)	(7,981)	(561,632)
							-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	20,575	606,415	1,102,403	219,567	165,370	95,634	2,209,965

საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები დატვირთულია იპოთეკით საკრედიტო ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად.

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31.12.2019	31.12.2020
საქონელი	4,444,628	6,359,972
საქონელი მაღაზიაში	111,141	210,723
ნედლეული და მასალები	57,042	41,944
სხვა საქონელი	245,454	273,923
სულ ნედლეული და მასალები	4,858,264	6,886,561

შენიშვნა 5 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	2,004,601	3,420,534
გადახდილი ავანსები	865,760	275,429
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	164,614	74,733
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	28,430	29,724
ანარიცხის ღარიცხვა	(39,258)	(43,727)
სულ დებიტორული დავალიანება	3,024,147	3,756,693

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

მოთხოვნები	სავაჭრო მოთხოვნები - ვადაგადაცილებული დღეები			
	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	2,186,330	2%	(43,727)	2,142,603
0-30 დღის ვადაგადაცილება	-	15%	-	-
30-60 დღის ვადაგადაცილება	-	20%	-	-
60-180 დღის ვადაგადაცილება	-	25%	-	-
180-360 დღის ვადაგადაცილება	-	50%	-	-
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	171,009	100%	-	-
შემცირებული გაუფასურების რეზერვით			(43,727)	
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	2,357,339			2,142,603

შენიშვნა 6 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2019	31.12.2020
ლარი საბანკო ანგარიშებზე	306,788	249,402
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	216	6,008
ნაღდი ფული საღაროში	37,685	17,195
ჯამურად ნაღდი ფული საღაროში	37,685	17,195
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	344,689	272,604

შენიშვნა 7 - სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	7,147,680	8,567,373
გადასახდელი ხელფასები	-	17,890
მიღებული ავანსები	41,722	373,816
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,251	7,952
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7,190,652	8,967,031

შენიშვნა 8 - მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	31.12.2019	31.12.2020
პროკრედიტ ბანკის საკრედიტო ხაზი	USD	1,017,711	1,340,798
პროკრედიტ ბანკის საკრედიტო ხაზი	USD	-	947,573
პროკრედიტ ბანკის საკრედიტო ხაზი	USD	143,383	-
პროკრედიტ ბანკის საკრედიტო ხაზი	USD	-	1,006,413
სულ მოკლევადიანი სესხები		1,161,094	3,294,783

შენიშვნა 9 - შემოსავალი რეალიზაციიდან

პერიოდის შემოსავლები მოიცავს პროდუქტის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს რომლებიც შემცირებულია პერიოდის ფასდათმობის:

	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი სადისტრიბუციო ქსელიდან	37,184,891	28,962,643
შემოსავალი საცალო გაყიდვიდან	28,993,921	31,560,022
ექსპორტით მიღებული შემოსავლები	622,161	353,609
სხვა შემოსავლები	78,887	412,415
ფასდათმობა	(79,469)	(432,597)
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	66,800,392	60,856,092

შენიშვნა 10 - მიწოდების ხარჯი

პერიოდის მიწოდების ხარჯები მოიცავს საქონლის გაყიდვებთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს:

	31.12.2019	31.12.2020
რეკლამის ხარჯები	205,704	431,860
საწვავის ხარჯები	293,256	251,150
საიჯარო ხარჯი	734,926	1,417,817
ტრანსპორტის შეკეთების ხარჯი	165,742	99,598
მივლინების ხარჯები	89,291	10,721
კომუნალური ხარჯი	209,036	211,256
ლოჯისტიკის ხარჯები	238,726	84,930
მიწოდების სხვა ხარჯი	655,412	555,375
ანარიცხები	3,187	4,469
მიწოდების სხვა ხარჯები	54,440	50,304
სულ მიწოდების ხარჯები	2,649,720	3,117,480

შენიშვნა 11 - ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2019	31.12.2020
სხვა საგადასახადო ხარჯები	22,115	266,279
დასაბეგრი ხარჯები	38,715	84,733
საკანცელარიო ხარჯები	18,876	13,614
საკონსულტაციო ხარჯები	(1,831)	8,983
სხვა საერთო ხარჯები	310,862	454,542
საბანკო ხარჯები	88,888	347,104
კომუნიკაციის ხარჯები	124,604	144,000
კომპიუტერის ხარჯები	2,877	8,037
სხვა საერთო ხარჯები	375,136	456,415
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	980,243	1,783,708

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეუქმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვალიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან კრედიტორულ ვალდებულებებს, რომლებთანაც მენეჯმენტის გააჩნია სხვადასხვა ვალიანობის კონსიგნაციის პირობები მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის წარმოქმნილი ერთ წელზე მეტი ვადით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია მიღებული საქონლის და მომსახურების შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, ასევე საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში სასესხო ვალდებულებას. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის სავალუტო სახსრების არსებითი ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ სასესხო ვალდებულებებს და სავალუტო რისკები გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანიას უზრდება ვალდებულებები და მასთან ერთად ლიკვიდურობის რისკებიც.

სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

	31 დეკემბერი 2020		
	GEL	USD 1 = 3.2766 GEL	EUR 1 = 4.0233 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	266,597	3,923	2,085
სავაჭრო მოთხოვნები	2,279,355	34,257	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	74,733	-	-
გაცემული ავანსები	1,332,760	3,205	2,659
გადახდილი გადასახადები	-	-	-
მისაღები პროცენტები	300	29,424	-
სულ ფინანსური აქტივები	3,953,744	70,809	4,744
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8,967,031	-	-
მიღებული ავანსები	-	-	-
მოკლევადიანი სესხები	-	3,294,783	-
გადასახდელი პროცენტი	-	60,169	-
საგადასახადო ვალდებულება	212,844	-	-
გრძელვადიანი სესხი	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,179,876	3,354,952	-
სულ წმინდა პოზიცია	(5,397,140)	(3,284,144)	4,744

შპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31 დეკემბერი 2019		
	GEL	USD 1 = 2.8677 GEL	EUR 1 = 3.2095 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	350,522	19	197
სავაჭრო მოთხოვნები	1,816,234	149,109	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	164,614	-	-
გაცემული ავანსები	29,851	766,097	69,811
საგადასახადო მოთხოვნები	46,349	-	-
მისაღები პროცენტები	-	28,430	-
სულ ფინანსური აქტივები	2,407,570.3	943,655.0	70,008.0
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,139,344	47,810	3,498
მიღებული ავანსები	41,722	-	-
მოკლევადიანი სესხები	-	1,161,094	-
გადასახდელი პროცენტი	-	49,941	-
გრძელვადიანი სესხი	-	333,043	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,181,066	1,591,888	3,498
სულ წმინდა პოზიცია	(4,773,496)	(648,233)	66,510

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მაღალია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2020	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL 20%	EUR/GEL -20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(656,829)	656,829	949	(949)
2019	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL 20%	EUR/GEL -20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(129,647)	129,647	13,302	(13,302)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

შპს ჩირინა - 54 230 732.72 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მმართველი დირექტორის მიერ გამომუშავებული ანაზღაურება შეადგენდა 265 591.9 ლარს. საანგარიშო პერიოდში მმართველ დირექტორზე, რომელიც წარმოადგენს ასევე კომპანიის დამფუძნებელს გაცემულია სესხი უცხოურ ვალუტაში, რომლის ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ადგილობრივ ვალუტაში შეადგენს 1 310 640 ლარს.

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას პერიოდის ბოლოს სასამართლო დავები არ გააჩნია.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2021 წელშიც პანდემიის პრევენციისთვის შემოღებული სხვადასხვა შეზღუდვები მოქმედებდა, რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სხვადასხვა ბიზნეს სექტორზე. ვინაიდან ჩვენი კომპანია ახორციელებს საკვები პროდუქციის წარმოებას და რეალიზაციას, შეზღუდვების პროცესშიც ნებადართული ჰქონდა ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელება. ამიტომ პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე და ბალანსის შემდგომი პერიოდის გაყიდვებზე არსებითი არ ყოფილა.

მპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი
მართველობითი ანგარიში

2020 წელი

სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი მიმდინარე გეგმები და მიზნები მიმართულია ქვეყნის ტერიტორიაზე ბაზრის სრული ათვისებისკენ, რაც გულისხმობს ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორცპროდუქტებით, როგორც გაყინული ასევე ნედლით იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას და ბაზრის მნიშვნელოვანი წილის დაკავებას.

გარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქციის რეალიზებისა რასაც შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი უკავია, კომპანია გეგმავს დამატებითი საბრუნავი კაპიტალის მოზიდვით გააფართოვოს ასორტიმენტი და გაზარდოს მოქმედების არეალი რათა უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდეს სხვა სადისტრიბუციო კომპანიებთან შედარებით. ამისთვის კომპანიამ დაიმატა საკრედიტო ხაზი რათა მოხდეს ასორტიმენტის გაზრდა.

დამატებით სამომავლო გეგმებში განიხილება ასევე წარმოებიდან მიღებული ვაშლის პროექტის დამუშავება, რაც გულისხმობს როგორც ადგილობრივ ბაზარზე ბრენდირებული და ხარისხიანი ხილის მიწოდებას, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანას.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ

კომპანიის ფილიალებად შეიძლება განვიხილოთ იმერეთის და აჭარის რეგიონები საიდანაც ხდება დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის პროდუქციით მომარაგება.

იმერეთის ფილიალის წილი შეადგენს მთლიანი გაყიდვების 12%. გაიხსნა 2016 წლის აპრილში. აჭარის ფილიალის წილი შეადგენს მთლიანი გაყიდვების 8%. აჭარის ფილიალი გაიხსნა 2017 წლის ოქტომბერში. ნედლი პროდუქციით მომარაგება დავიწყეთ 2018 წლის ოქტომბრის თვეში.

კვლევები და განვითარება

კომპანია მუდმივ რეჟიმში ახორციელებს ბაზრის შიდა კვლევებს. ბაზარზე არსებული იმპორტირებული პროდუქტების, ფასების და რაოდენობების ანალიზს რათა შემდგომ უფრო ეფექტურად მოხდეს ადგილობრივი პროდუქციის პოზიციონირებმა და საფასო პოლიტიკის დაგეგმვა. ეს არის კვლევების ძირითადი მიმართულება რასაც კომპანია უთმობს საკუთარი რესურსის საკმაოდ დიდი ნაწილს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

- კომპანია ბაზარზე სარგებლობს საკმაოდ მყარი რეპუტაციით, გამომდინარე იქიდან რომ ვაჭრობს ქართული წარმოების მაღალი ხარისხის ქათმის ხორცპროდუქტების „ბიუ-ბიუ“ს ბრენდით. ეს არის პირველი მამბაბური, ვერტიკალურად ინტეგრირებული, საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილი ქართული საწარმო რომელიც ბოლომდე ორიენტირებულია ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე. სწორედ პროდუქციის ხარისხიდან გამომდინარეობს ბრენდის სიძლიერე, რის შედეგადაც კომპანიამ მარტივად შეძლო ყოველგვარი მარკეტინგული აქტივობების გარეშე მომხმარებლისთვის გაეცნო და ბაზარზე საკუთარი ადგილი დაეკავებინა დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში. გარდა სადისტრიბუციო საქმიანობისა კომპანიას გააჩნია საკუთარი 72 სავაჭრო ობიექტი საიდანაც ხდება ქათმის ნედლი ხორცპროდუქტების რეალიზაცია. ეს არის ამ სფეროში ინოვაციური და უკონკურენტო მიმართულება, რაც საშუალებას იძლევა უშუალო კონტაქტი იქონიო პირდაპირ მომხმარებლებთან და კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ბრენდის გაძლიერება განვითარებას.

- ჩვენი მომხმარებლები არიან როგორც სავაჭრო ქსელები, უბნის მაღაზიები, რესტორნები, კაფეები, სასტუმროები, საბავშვო ბაღები ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეები რომლებიც საკმაოდ მაღალი ლოიალურობით გამოირჩევიან ჩვენი პროდუქციის მიმართ. ეს ყოველივე განპირობებულია კომპანიის მიერ შეთავაზებული მაღალი ხარისხის პროდუქციით და მომსახურებით. სავაჭრო ობიექტები ყოველდღიურად საშუალოდ 13,000 მომხმარებელს ემსახურება.

- კომპანიაში დასაქმებულია საშუალოდ 350 ადამიანი, რომელთაგან ნახევარი ყოველდღიურ კონტაქტშია იმყოფება პირდაპირ მომხმარებელთან. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა ამ ადამიანების სწავლებას, გადამზადებას, მომსახურების ტრენინგებს, ვიზუალურ მხარეს და ა.შ. ეს არის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრენდის განვითარებისთვის და მომხმარებლების ინფორმირებისთვის. კომპანიაში არსებობენ ადამიანები ვინც

კონკრეტულად საცალო ვაჭრობის მიმართულების განვითარებაზე და გაფართოვებაზე არინ პასუხისმგებელი, გამომდინარე იქედან რომ ეს სეგმენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია კომპანიის და ბრენდის არსებობაში.

- გარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა კომპანიას გააჩნია საკუთარი ბრენდის ქვეშ შექმნილი იმპორტირებული პროდუქტები რომლითაც ასევე ვაჭრობს სადისტრიბუციო და საცალო ქსელში. ეს პროდუქტებიც ანალოგიური წარმეტებით სარგებლობენ ქართულ ბაზარზე და ჯერ ჯერობით თავიან სეგმენტში იმპორტირებული ბაზრის 20-25 პროცენტი უკავიათ.
- სუბიექტის პოზიცია ბაზარზე არის მყარი და ზრდადი, რასაც ადასტურებს სტატისტიკური ინფორმაცია როცა საქმიანობის დაწყებისას კომპანია ყიდდა 200 ტონა პროდუქციას ხოლო მიმდინარე პერიოდის რეალიზაცია 1,200 ტონას ცდება. ასევე პარალელურად მოხდა იმპორტირებული ბაზრის შევიწროვება რადგანაც მომხმარებელს გამოუჩნდა უკეთესი ალტერნატივა შეეძინა ხარისხიანი, ახალი და გაუყინავი პროდუქცია ბაზარზე მისაღებ ფასად.

ძირითადი რისკები

ძირითად რისკად შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტის დამოკიდებულება ერთი ადგილობრივი საწარმოს პროდუქციაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დაარსების დღიდან დღემდე კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა შემოსავლის მიღების საშუალება, როგორც ასორტიმენტი ასევე გასაღების არეალი. ასორტიმენტი მოიცავს როგორც ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორცპროდუქტებს გაყინულის და ნედლის სახით, ასევე იმპორტირებული პროდუქციის ნაირსახეობებს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც რომ სხვა სადისტრიბუციო კომპანიებისგან განსხვავებით სუბიექტი მუშაობს ორი მიმართულებით, როგორც საბითუმო ასევე საცალო. გააჩნია გასაღების საკუთარი 72 ობიექტი ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც ნებისმიერი საკვები პროდუქციის რეალიზაციის საშუალებას იძლევა. ასევე შესაძლებელია ამ ობიექტების ქვეიჯარით გაცემა და ალტერნატიული შემოსავლის მიღება.

ერთერთი საწარმო ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი რისკი შეიძლება იყოს ფრინველის ვირუსული გრიპი რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საწარმოს და შემდგომ სუბიექტის უახლოეს გეგმებს. თუმცა საწარმოში მიმდინარე სანიტარული ნორმების დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით მართვა მინიმუმამდე ამცირებს ამ რისკს. საწარმოს ციკლის თითოეული პროცესი მნიშვნელოვნად კონტროლდება და ნებისმიერი რისკის პრევენციისთვის მაქსიმალური ზომები მიიღება.

ასევე რისკად შეიძლება ჩაითვალოს ის რომ წარმოებას პერიოდულად სჭირდება გადაიარაღება ან მთლიანი ფერმების ღეზინფექცია და წმენდითი სამუშაოები, რაც გულისხმობს დროებით ნედლი ქათმის პროდუქციის მიწოდების შეჩერებას და მუშაობას მხოლოდ გაყინული პროდუქციის მარაგებით. რატომღაც ეს იწვევს კომპანიის შემოსავლიანობის შემცირებას, თუმცა ეს იმდენად კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოებისთვის და იმისთვის რომ შევინარჩუნოთ ხარისხი და თავიდან ავიცილოთ სამომავლოდ უფრო დიდი რისკები და ზარალი, რომ კომპანიის მენეჯმენტი ამ ფაქტორს არ განიხილავს როგორც მნიშვნელოვან რისკს.

მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია კომპანიაში, რაც გულისხმობს მოვერგოთ ქვეყანაში დაწესებულ რეგულაციებსა და ახალ კანონებს. თუმცა გამომდინარე იქიდან რომ ჩვენი ძირითადი საქმიანობა და პროდუქტი არის პირველადი მოხმარების, გაყიდვებში დიდი ცვლილება არ გვაქვს.

გენერალური დირექტორი

29 სექტემბერი 2021

თბილისი, საქართველო

კონკრეტულად საცალო ვაჭრობის მიმართულების განვითარებაზე და გაფართოვებაზე არიან პასუხისმგებელი, გამომდინარე იქედან რომ ეს სეგმენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია კომპანიის და ბრენდის არსებობაში.

- გარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქციისა კომპანიას გააჩნია საკუთარი ბრენდის ქვეშ შექმნილი იმპორტირებული პროდუქტები რომლითაც ასევე ვაჭრობს სადისტრიბუციო და საცალო ქსელში. ეს პროდუქტებიც ანალოგიური წარმეტებით სარგებლობენ ქართულ ბაზარზე და ჯერ ჯერობით თავიანთ სეგმენტში იმპორტირებული ბაზრის 20-25 პროცენტი უკავიათ.
- სუბიექტის პოზიცია ბაზარზე არის მყარი და ზრდადი, რასაც ადასტურებს სტატისტიკური ინფორმაცია როცა საქმიანობის დაწყებისას კომპანია ყიდდა 200 ტონა პროდუქციას ხოლო მიმდინარე პერიოდის რეალიზაცია 1,200 ტონას ცდება. ასევე პარალელურად მოხდა იმპორტირებული ბაზრის შევიწროვება რადგანაც მომხმარებელს გამოუჩნდა უკეთესი ალტერნატივა შეეძინა ხარისხიანი, ახალი და გაუყინავი პროდუქცია ბაზარზე მისაღებ ფასად.

ძირითადი რისკები

ძირითად რისკად შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტის დამოკიდებულება ერთი ადგილობრივი საწარმოს პროდუქციაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დაარსების დღიდან დღემდე კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა შემოსავლის მიღების საშუალება, როგორც ასორტიმენტი ასევე გასაღების არეალი. ასორტიმენტი მოიცავს როგორც ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორცპროდუქტებს გაყინულის და ნედლის სახით, ასევე იმპორტირებული პროდუქციის ნაირსახეობებს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც რომ სხვა სადისტრიბუციო კომპანიებისგან განსხვავებით სუბიექტი მუშაობს ორი მიმართულებით, როგორც საბითუმო ასევე საცალო. გააჩნია გასაღების საკუთარი 72 ობიექტი ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც ნებისმიერი საკვები პროდუქციის რეალიზაციის საშუალებას იძლევა. ასევე შესაძლებელია ამ ობიექტების ქვეიჯარით გაცემა და ალტერნატიული შემოსავლის მიღება.

ერთერთი საწარმო ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი რისკი შეიძლება იყოს ფრინველის ვირუსული გრიპი რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საწარმოს და შემდგომ სუბიექტის უახლოეს გეგმებს. თუმცა საწარმოში მიმდინარე სანიტარული ნორმების დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით მართვა მინიმუმამდე ამცირებს ამ რისკს. საწარმოს ციკლის თითოეული პროცესი მნიშვნელოვნად კონტროლდება და ნებისმიერი რისკის პრევენციისთვის მაქსიმალური ზომები მიიღება.

ასევე რისკად შეიძლება ჩაითვალოს ის რომ წარმოებას პერიოდულად სჭირდება გადაიარაღება ან მთლიანი ფერმების ღებინა და წმენდითი სამუშაოები, რაც გულისხმობს დროებით ნედლი ქათმის პროდუქციის მიწოდების შეჩერებას და მუშაობას მხოლოდ გაყინული პროდუქციის მარაგებით. რათქმუნდა ეს იწვევს კომპანიის შემოსავლიანობის შემცირებას, თუმცა ეს იმდენად კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოებისთვის და იმისთვის რომ შევინარჩუნოთ ხარისხი და თავიდან ავიცილოთ სამომავლოდ უფრო დიდი რისკები და ზარალი, რომ კომპანიის მენეჯმენტი ამ ფაქტორს არ განიხილავს როგორც მნიშვნელოვან რისკს.

მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია კომპანიაში, რაც გულისხმობს მოვერგოთ ქვეყანაში დაწესებულ რეგულაციებსა და ახალ კანონებს. თუმცა გამომდინარე იქიდან რომ ჩვენ ძირითადი საქმიანობა და პროდუქტი არის პირველადი მოხმარების, გაყიდვებში დიდი ცვლილება არ გვაქვს.

გენერალური დირექტორი

29 სექტემბერი 2021

თბილისი, საქართველო